დინამოელებმა ცუდად ითამაშეს

გუშინ თბილისის “დინამოს” ფეხბურთელებს მორიგი საკონტროლო მატჩი ჰქონდათ საკავშირო ჩემპიონატის დაწყების წინ. მათ წინააღმდეგ თამაშობდა მოსკოვის “სპარტაკი”.

ძლიერი ქარი მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს თამაშის ნორმალურ მსვლელობას, მაგრამ სწორედ ამ ძნელ პირობებში ”სპარტაკი” მთელი თავით მაღლა იდგა თავის მოწინააღმდეგეზე. გარდა იმისა, რომ მოსკოველებმა უფრო სწორად განსაზღვრეს თავიანთი სამოქმედო გეგმა, ისინი უკეთ გამოიყურებოდნენ ინდივიდუალური მომზადებითაც.

დინამოელთა თამაშში მრავალ შეცდომას ჰქონდა ადგილი. მცველები სისტემატურად აგვიანებდნენ ბურთზე გასვლას, მოქმედებდნენ შეჯგუფულად, არ ჰქონდათ დაცული სიზუსტე ურთიერთდაზღვევისას.

უსისტემოდ ითამაშეს თავდამსხმელებმაც, რომლებიც ბურთის გაუთავებელი ტარებით უფრო იყვნენ გართული, ვიდრე კოლექტიური, გეგმიანი შეტევების წარმოებით. სუსტად იცავდა კარს მეკარე ს. კოტრიკაძე.

ანგარიში 4:2 “სპარტაკის” სასარგებლოდ სავსებით შეესაბამება მატჩის მსვლელობას.

ამავე გუნდების დუბლიორთა შეხვედრა დამთავრდა ფრედ – 3:3.

2 აპრილი, 1961 წ.